

კ ა ზ უ ს ი

1. შპს “სქაი” საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი კომპანია. მისი უმთავრესი აქტივია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, “სქაი იზ იორ ლიმით”, რომელსაც აქვს კავკასიაში ყველაზე პოპულარული და აღიარებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ჟურნალისტიკაში, უცხო ენებში, ფსიქოლოგიაში და სოციოლოგიაში. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა.
2. “სქაი იზ იორ ლიმით”-ის სტუდენტური ჟურნალისტური გამოძიების პროექტები ყველაზე პოპულარულია საქართველოში და წლების განმავლობაში არაერთხელ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და სხვა საზოგადოებრივ პროცესებზე.
3. შპს “სქაის” კაპიტალში 60% წილის მესაკუთრეა გიორგი გოგავა, ხოლო 40%-ის - შპს “მარისონი”.
4. შპს “მარისონის” კაპიტალში 100% წილის მესაკუთრეა გიორგი გოგავა.
5. 2007 წლის 18 ნოემბერს გიორგი გოგავამ შპს „სქაის“ კაპიტალში მისი კუთვნილი 60%-დან 22% მიყიდა შპს „ლევი და კომპანია“ 19 550 აშშ დოლარად.
6. 2008 წლის დასაწყისში დაიწყო შპს “სქაის” საგადასახადო შემოწმება. 2008 წლის 2 ივნისს საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე შპს “სქაის” ჯამში დაერიცხა საგადასახადო დავალიანება 10 017 000 ლარის ოდენობით. მეორე დღეს შპს “სქაის” მთლიან ქონებას და მის კაპიტალში 100% წილს დაედო ყადაღა.
7. 2008 წლის 19 ივნისს, გიორგი გოგავამ შპს „სქაის“ კაპიტალში მისი კუთვნილი 38%-ის შპს „ალიონისათვის“ 29 000 აშშ დოლარად მიყიდვის თაობაზე გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ყადაღის მოხსნის გარემოება იყო წინაპირობა (წინაპირობა) ნასყიდობის დასრულებისა და მიყიდველზე საკუთრების უფლების გადაცემისა. ხელშეკრულების მიხედვით ნასყიდობა ძალას კარგავდა, თუ წინაპირობა არ დადგებოდა 50 დღის განმავლობაში.
8. 2008 წლის 23 ივნისს შპს “სქაის” შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, რომ 2 ივნისის საგადასახადო მოთხოვნაში მითითებული დავალიანება არ იყო სწორი და რომ აღნიშნული შეცდომა გამოსწორებულია და ახალი საგადასახადო მოთხოვნაა გაცემული რომლის საფუძველზეც შპს “სქაის” დაეკისრა 10 017 ლარი.

9. 2008 წლის 24 ივნისს შპს „სქაის“ ქონებაზე და მის კაპიტალში 100% წილზე მოიხსნა ყადაღა.
10. ამავე დღეს, შპს „მარისონმა“ შპს „სქაის“ კაპიტალში მის საკუთრებაში არსებული 40% მიყიდა შპს „ალიონს“ 15 700 აშშ დოლარად.
11. ამდენად, 2008 წლის ბოლოს მდგომარეობით, შპს „სქაის“ კაპიტალში 78% წილის მესაკუთრე გახდა შპს „ალიონი“, ხოლო 22%-ის - შპს „ლევი და კომპანია“.
12. 2009 წლის 5 იანვარს შპს „დემნამ“ შპს „ალიონისა“ და შპს „ლევი და კომპანიასაგან“ შპს „სქაის“ კაპიტალში 100% - იანი წილი შეიძინა.
13. 2009 წლის 17 აგვისტოს დასრულდა შპს „მარისონის“ ლიკვიდაცია, რომელიც ინიცირებული იყო მისი ერთადერთი პარტნიორის, გიორგი გოგავას გადაწყვეტილებების საფუძველზე.
14. 2010 წელს შპს „დემნას“ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით გიორგი კაჭარავასთან საკუთრების მინდობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომელმაც შპს „სქაის“ მართვისა და კომპანიაში 5 000 000 ლარის ინვესტიციის ვალდებულება აიღო. სანაცვლოდ, მან აღნიშნული ინვესტიციის განხორციელების შემდეგ შპს „სქაის“ კაპიტალში 50% წილის მესაკუთრედ ცნობის უფლება მოიპოვა. გიორგი კაჭარავამ მასზე დაკისრებული ვალდებულება შეასრულა: 2010 წლის ბოლოსათვის მან შპს „სქაის“ მისცა დაბალპროცენტიანი არაუზრუნველყოფილი კონვერტირებადი სესხები 5 000 000 ლარის ოდენობით.
15. გიორგი კაჭარავას, შპს „დემნასა“ და შპს „სქაის“ შორის გაფორმებული იყო ორი იდენტური კონვერტირებადი სესხის ხელშეკრულება, ერთადერთი სხვაობით: მეორე კონვერტირებადი სესხის ხელშეკრულების მიხედვით მხარეთა შორის დავა უნდა გადაწყვეტილიყო ექსკლუზიურად ლონდონის არბიტრაჟის მიერ, მისივე საარბიტრაჟო წესების თანახმად. როგორც პირველი, ასევე მეორე კონვერტირებადი სესხის ხელშეკრულების მიხედვით გიორგი კაჭარავას მიერ წერილობითი მოთხოვნის გაგზავნიდან გონივრულ ვადაში შპს „დემნამ“ და შპს „სქაიმ“ უნდა უზრუნველყონ გიორგი კაჭარავას საკუთრებაში შპს „სქაის“ კაპიტალში 25% წილის (ჯამში ორივე სესხის ხელშეკრულებით - 50%) რეგისტრაცია. წილის რეგისტრაციის მომენტში გიორგი კაჭარავას მიერ შპს „სქაისათვის“ თითოეული კონვერტირებადი სესხის ხელშეკრულებით გადაცემული სესხის სრული ოდენობა (2,500,000 + 2,500,000 ლარი) და მასზე დარიცხული პროცენტი სრულად დაკონვერტირდება კაპიტალში.

16. 2014 წლის გაზაფხულზე საქართველოში შეიცვალა ხელისუფლება. ახალი მოწვევის პარლამენტმა პირველივე სხდომაზე მიიღო რეზოლუცია, რომლითაც წინა ხელისუფლების 13 წლიანი მმართველობა გამოცხადდა “სამარცხვინოდ ბნელ, უსამართლო და მოძალადე”-დ, რომელთა დროს “უპრაგონოდ განიავდა, გაიყიდა და განადგურდა ქართველი ერის მრავალი ვერგანსაძარღველი განძი გულისა”.
17. 2016 წლის შემოდგომაზე, ხელისუფლების ცვლილებით დაიმედებულმა გიორგი გოგავამ სარჩელი აღძრა შპს „დემნას“ მიმართ და მოითხოვა შპს „სქაის“ წილებთან დაკავშირებული 2007-2009 წლებში დადებული ყველა ხელშეკრულების ბათილობა, შპს „სქაის“ 100%-იანი წილის მესაკუთრედ ცნობა და შპს „დემნასათვის“ 1 500 000 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების დაკისრება.
18. მოსარჩელემ მოთხოვნის საფუძველად მიუთითა, რომ 2007-2008 წლებში სხვადასხვა ოფიციალური ორგანოების მხრიდან მასზე ზეწოლა ხორციელდებოდა, რათა მას შპს „სქაის“ წილები შესაბამის პირებზე გაესხვისებინა.
19. გიორგი გოგავამ სასამართლოში წარმოადგინა 2008 წლის 3 ივნისს გაკეთებული ფარული ჩანაწერი, რომლითაც მის მიმართ კონკრეტული პირის (დავით გეგეჭკორის) მხრიდან ზეწოლის ფაქტი დასტურდება, კერძოდ, დავით გეგეჭკორი ფარული ჩანაწერის მიხედვით, გიორგი გოგავას განუმარტავს, რომ მას საგადასახადო დავალიანებები ერიცხება სახელმწიფოს მიმართ. გადასახადების დამალვა კი სისხლის სამართლის წესით ისჯება. შესაბამისად, განუმარტავს, რომ წილების დათმობა ისევ მის ინტერესებში შედის. იგივე ჩანაწერის მიხედვით გეგეჭკორი გოგავას ახსენებს 2007 წლის დასაწყისის მოვლენებს და მიუთითებს, რომ გოგავა სწორად მოიქცა როდესაც მაგ დროისათვის სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოსთან არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით მან დათმო წილი მისაღებ ფასად. დავით გეგეჭკორი ფარული ჩანაწერის გაკეთების დროისათვის სახელმწიფო სამსახურში არ იყო დასაქმებული და მინერალური წყლების ბიზნესს ფლობდა. 2009-2014 წლებში დავით გეგეჭკორი შემოსავლების სამსახურში მუშაობდა მაღალ თანამდებობებზე.
20. გიორგი გოგავამ გარდა ფარული ჩანაწერისა, წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა, რომლის შესაბამისადაც, შპს „სქაის“ საბაზრო ღირებულება, 2007-2008 წლებში, იყო ბევრად მეტი ვიდრე რეალურად შემძენებმა

გადაიხადეს, კერძოდ, მისი ღირებულება 10-11 ჯერ აღემატებოდა წილების ნასყიდობის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ თანხას. ამავე ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გიორგი გოგავა, მოცდენილი წლების განმავლობაში, დივიდენდის სახით, 1 500 000 ლარს მიიღებდა. აღნიშნული დასკვნა, ექსპერტის შეფასებით ეფუძნება იმ წმინდა მოგებას, რომელიც კომპანიას აღნიშნული წლების განმავლობაში ჰქონდა. თუმცა, მოგების დივიდენდის სახით განაწილებაზე გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

21. გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა წარადგინა გიორგი კაჭარავამ გიორგი გოგავასა და შპს „დემნას“ მიმართ და შპს „სქაის“ 50%-იანი წილის მესაკუთრედ ცნობა მოითხოვა. გიორგი კაჭარავას განმარტებით, რაც შესაბამისი მტკიცებულებით (აუდიტის დასკვნა) დასტურდება, მან საკუთრების მინდობიდან გამომდინარე, მასზე დაკისრებული ყველა ვალდებულება შეასრულა, მათ შორის, ინვესტიციის განხორციელების ჩათვლით, შესაბამისად, მან, მისივე განმარტებით, შპს „დემნას“ 50%-ის მესაკუთრედ ცნობის უფლება მოიპოვა.
22. შპს „დემნამ“ და შპს „სქაიმ“ აღიარეს გიორგი კაჭარავას სარჩელი და განაცხადეს თანხმობა გიორგი კაჭარავასათვის შპს „სქაის“ კაპიტალში 50% წილის საკუთრებაში გადაცემაზე.
23. შედეგად, შპს „დემნამ“ და გიორგი კაჭარავამ გადაწყვიტეს, რომ მათ საერთო ინტერესი აქვთ მოცემულ დავაში და შეთანხმდნენ რომ მოცემულ დავაში მათი პოზიციები იყოს თანხვედრი და ორივეს ინტერესები წარმოდგენილი იყოს ადვოკატთა საერთო გუნდის მიერ.

ძირითადი სამსჯელო საკითხები:

24. მოსარჩელე სწორად ასახელებს თუ არა მოპასუხეებს?
25. მოსარჩელეს აქვს თუ არა 100%-იანი წილის მესაკუთრედ ცნობის უფლება?
26. მოსარჩელეს აქვს თუ არა იძულების საფუძველით გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება?
27. მოსარჩელეს აქვს თუ არა ფასთა სხვაობის საფუძველით გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება?
28. არის თუ არა მოსარჩელის მოთხოვნები ხანდაზმული? (შეცილებისა და ხანდაზმულობის ვადები)

29. რამდენად არის შესაძლებელი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა გარიგების ბათილად ცნობის გზით და ბათილად ცნობის გარეშე?
30. გარიგებების ბათილად ცნობის გარეშე მოსარჩელის მოთხოვნის უფლება, აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა არის თუ არა ხანდაზმული?
31. ფარული ჩანაწერი არის თუ არა დასაშვები?
32. მესამე პირის მონაწილეობით იძულებისას ვინ არის ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული სუბიექტი?
33. იყო თუ არა შპს „დემნა“ წილების კეთილსინდისიერი შემძენი?
34. არის, თუ არა, გიორგი კაჭარავა საკუთრების მინდობის პირობების გათვალისწინებით წილის კეთილსინდისიერი შემძენი?
35. არის თუ არა შემძენი კეთილსინდისიერი, თუ დადასტურდა გარიგების არამართლობიერება ?
36. არის, თუ არა, ზიანის ანაზღაურების კონტექსტში დივიდენდის მოთხოვნა საფუძვლიანი?
37. რა ძალა აქვს ყადაღის მოქმედების დროს დაყადაღებულ ქონებაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას?
38. რამდენად საფუძვლიანია ხანდაზმულობის ვადის ხელახლა ათვლა ხელისუფლების / რეჟიმის ცვლილების დროს?
39. არის თუ არა სასამართლოს განსჯადი მეორე კონვერტირებადი სესხის ხელშეკრულება?